საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/159 " 18 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მ. ჯინჯოლიას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, მიხეილ ჯინჯოლია 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
მიხეილ ჯინჯოლიას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 30 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის მიხეილ ჯინჯოლიაზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

მიხეილ ჯინჯოლიას აქვს სპეციალობით მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება. იგი 2011-2019 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე.

მიხეილ ჯინჯოლია იუსტიციის უმაღლესი სკოლის 14-ე ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით მიხეილ ჯინჯოლიამ წარმატებით გადალახა სრული სასწავლო კურსის ყველა ეტაპი. იგი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და პრეზენტაციის უნარებით. იყო დისციპლინირებული მსმენელი, იცავდა სკოლის წესდებითა და შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ მიხეილ ჯინჯოლიას გაესაუბრნენ 4 ნოემბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა კანდიდატი მიხეილ ჯინჯოლია შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

მიხეილ ჯინჯოლიას კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 15-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ მიხეილ ჯინჯოლიას კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1294 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 86.27%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის მე-4 ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, მიხეილ ჯინჯოლიამ მოიპოვა 12 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 21 კანდიდატი, მათგან 6 მოქმედი მოსამართლე, 8 ყოფილი მოსამართლე და 7 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბარამიძე ია - 0 ხმა
2. ბარდაველიძე ლევან - 0 ხმა
3. გიორგაშვილი სანდრო - 0 ხმა
4. გიორგაძე ნინო - 0 ხმა
5. გოგალაძე ირმა - 0 ხმა
6. დარახველიძე გიორგი - 0 ხმა
7. თხელიძე ქეთევან - 0 ხმა
8. კაკაურიძე შალვა - 0 ხმა
9. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
10. მაისურაძე მადონა - 0 ხმა
11. ნადიი რეზო - 0 ხმა
12. ნარიმანიშვილი დავით - 0 ხმა
13. ნაჭყებია ნინო - 0 ხმა
14. უბილავა გიზო - 0 ხმა
15. ფუხაშვილი მორის - 0 ხმა
16. შკუბულიანი ლელა - 1 ხმა
17. შოშიაშვილი მაია - 0 ხმა
18. ჩიქოვანი გვანცა - 0 ხმა
19. ხარჩილავა ხათუნა - 0 ხმა
20. ჯვარშეიშვილი მაია - 1 ხმა
21. ჯინჯოლია მიხეილ - 12 ხმა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - მიხეილ ჯინჯოლიას კეთილსინდისიერების (საბჭოს ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის,) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 20 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა მიხეილ ჯინჯოლია.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი